



**პოსტსაბჭოთა სინამდვილის
ორი დისკურსი**

ოთარ ჯანელიძე



**კონსტანტინე სინამდვილის
ორი დისკურსი:**

**წარსულის პოლიტიზება და
ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია**

თბილისი
2014

ნაშრომში გაშუქებულია წარსულის პოლიტიზების საკითხები 1990 წლის შემდეგ გამოცემულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში, გაანალიზებულია ამ რეგიონების პოლიტიკური რეჟიმების მიერ განხორციელებული ისტორიის ინსტრუმენტალიზაციის პროცესი და გამოვლენილია მისი მახასიათებლები.

საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

რეცენზენტი: პროფესორი ვაჟა კეშელავა

119.682.1

© ო. ჯანელიძე, 2014

© გამომცემლობა „მნიგნობარი“, 2014

ISBN 978-9941-450-60-0



თავისი ბუნებიდან გამომდინარე ისტორია იშვიათად ყოფილა თავისუფალი ობიექტური თუ სუბიექტური ზეგავლენისაგან. ეპიკური პოეზიისა და ისტორიის მუზას, რომელსაც ძველმა ბერძნებმა კლიო უწოდეს, ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში რთული და წინააღმდეგობრივი გზების დაძლევით უხდებოდა ცხოვრება. ხელისუფლება, როგორც წესი, აკონტროლებდა მემატიანეთა ნაწერსა და ნააზრევს და რაკი დამკვეთი თავად იყო, ფაქტებისა თუ მოვლენების ასახვაც მისთვის მისაღები და სასურველი უნდა ყოფილიყო. ისტორიის ფალსიფიკაცია, მისი შელამაზება და მმართველი რეჟიმის იდეოლოგიით ინტერპრეტაცია ძველი დროიდანვე საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ეს ასე იყო ყველა ქვეყანაში, რადგან თითქმის ყველა ხელისუფლება ესწრაფვოდა შეექმნა წარსულის მისთვის ხელსაყრელი ვერსია.

ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი რუსი კომედიოგრაფის ნ. ფონვიზინის იგავი სახელწოდებით „ისტორიის ბედი“, რომლის შინაარსი ასეთია:

ისტორია გადააყენს თანამდებობიდან იმის გამო, რომ არავინ იყო კმაყოფილი მისი საქციელით. იგი აღწერდა წარსულში მოღვაწე მეფეთა, მხედართმთავრების, მინისტრებისა თუ მთავართა მოღვაწეობას და ამხელდა მათ ნაკლოვან მხარეებს. „უმუშევრად“ დარჩენილი ისტორია ისე გალატაკდა, რომ თავის გადასარჩენად მათხოვრობაც კი დაიწყო. „გარკვეული დროის შემდეგ იგი შეიცოდეს და ნება დართეს, კვლავ შეესრულებინა თავისი მოვალეობა, მაგრამ ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც ისტორიას უფლება ეძლეოდა აღწერა დიდი ადამიანების დაბადების დღეები, მათი ნათლობის და სხვა საზეიმო ცერემონიები. გარდა ამისა, მას შეეძლო ისეთ მოვლენებზეც ესაუბრა, როგორიც არის ხანძარი ან მიწისძვრა. ომებისა და ბატალიების აღწერის უფლებაც მისცეს, თუმც ყოველგვარი განაზრების გარეშე. ასე აღმოჩნდა იგი იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვხედავთ დღეს და ამიტომაც ცოცხალი ისტორიის ნაცვლად, შემოგვრჩა მშრალი მატთანეთა კრებული“ (1, 316). ამ ნაწარმოებში აღწერილი სიუჟეტის შემდეგ დიდი დრო გავიდა და ისტორიასაც სხვა არაერთ გარიგებაზე მოუწია დათანხმება. მათ შო-

რის, გარდასულ დღეთა ამბების ხელისუფალთა შეხედულებითა და კარნახით აღწერაზე და სხვ. სამუშაო არასოდეს კლებია, რადგან იგი ყველა დროის მმართველს სჭირდებოდა. მემატიანესა თუ ისტორიკოსს მოეთხოვებოდა ხობტა შეესხა, განედიდებინა ხელისუფლების საჭესთან მდგომი პიროვნება (მმართველი, მეფე, ბელადი, პრეზიდენტი), დაეფარა მისი შეცდომები თუ დანაშაული, მიეჩქმალა რეჟიმისათვის ნიშანდობლივი ხარვეზები და ცხოვრება მხოლოდ ნათელ ფერებში, განუწყვეტელი პროგრესის სახით წარმოეჩინა.

ის, ვინც წინ აღუდგებოდა ამ დავალების შესრულებას, სულ მცირე, პროფესიას უნდა გამოთხოვებოდა, თუმცა ისტორიისათვის ცნობილია უარესი მაგალითიც. ძვ. წ. აღ. -ით პირველ საუკუნეში რომში მოღვაწე ისტორიკოსი კრემუციუს კორდი (Aulus Cremutius Cordus) გაცილებით მკაცრად დაისაჯა. რესპუბლიკური სიმპათიების მქონე მემატიანემ თავის ანალებში ტიბერიუსის იმპერატორობის დროს, ცეზარის მკვლელები მარკუს ბრუტუსი და გაიუს კასუსი შეაქო. ამის გამო სენატმა კორდის ნაწერების კოცონზე დაწვის გადაწყვეტილება გამოიტანა, თვით ისტორიკოსს კი უვადო პატიმრობა მიუსაჯა. დასჯილმა ისტორიკოსმა შიმშილობა გამოაცხადა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. შემორჩენილია კორდის უკანასკნელი ფრაზა, რომელიც მას სიკვდილის წინ წარმოუთქვამს: „გადაეცით ტიბერიუსს, რომ ისტორია შურს იძიებს ისტორიკოსის გამო“ (2).

არ გამართლდა კორდის აზრი, ისტორიამ ვერ იძია შური დასჯილი ისტორიკოსისათვის. მეტიც, ხსენებული ფაქტიდან 7 ასწლეულის შემდეგაც კი, VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი, როგორც მომავლისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული მემატიანე, იძულებულია „საჯარო“ ისტორიის პარალელურად, სინამდვილე ფარულად აღწეროს და „საიდუმლო ისტორიაში“ შეინახოს. თუ რატომ იქცევა ასე, თვითონვე გვამცნობს: „ჩემს მიერ სიმართლის დამალვის მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმის ჩამდენი ადამიანები ისევ ცოცხლები იყვნენ და გარემოება მოითხოვდა, ასე მენერა. ვერ დავემალებოდი ვერც გარშემო მყოფ მრავალ მეთვალყურეს და

ვერც საზარელ სიკვდილს დავაღწევდი თავს.... სწორედ ამის გამო, იძულებული ვიყავი, ჩემს წინა თხზულებებში მრავალი რამ დამეფარა“ (3, 21).

XIII საუკუნეში მცხოვრები ერთ-ერთი ფრანგი მემატიანის სიტყვით: „ის, ვინც წერს ისტორიას, მძიმე საქმეს ეწევა. თუ ის წერს სიმართლეს, იწვევს ხალხის სიძულვილს, ხოლო თუ ამბობს სიცრუეს, მაშინ თავს იტყვის რისხვას ღმერთებისა.“

გერმანელი ისტორიკოსი მ. რიტერი 1911 წელს გამოცემულ ნიგნში, რომელიც ისტორიული მეცნიერების განვითარების ისტორიას ეძღვნება, აფასებდა რა შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიას, შენიშნავდა: „ბოლო არ უჩანს ისტორიის ფალსიფიკაციასო“ (4). ისტორია სხვადასხვა დროს ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა მოსაზრებით ყალბდებოდა, მაგრამ წარსულის ფალსიფიცირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ყველგან და ყველა ეპოქაში პოლიტიკური კონიუნქტურა იყო. შემთხვევით არ წერდა ფრანგი ისტორიკოსი მიშელ დე სერტო, რომ ისტორიკოსის ადგილი „პოლიტიკურ პრობლემათა სიახლოვესაა, ოღონდ იმ ადგილიდან დაშორებით, საიდანაც უშუალოდ ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება“ (5). ყოველივეს მიუხედავად, სავსებით სწორი იყო სახელოვანი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, როდესაც ხას უსვამდა: „მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოიდგინოს“ (6). ივანე ჯავახიშვილის აზრით, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ „რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო“ მემატიანე და ისტორიკოსი, „რა მიზანი ჰქონდა და რა სწაღდა მას, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა“, რადგან „აღმწერლის თვალსაზრისი, ნოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავის ძლიერს დაღს ასვამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს“ (7, 25-26).

XIX საუკუნე, როდესაც ისტორია სამეცნიერო დისციპლინად ყალიბდებოდა, იმავდროულად ევროპაში იყო ნაციონალური ტრადიციების ძიების ეპოქა. დაიწყო წარსულის ფართო კო-



მემორიალიზაცია. ამ დროს აიგო ეროვნული მონუმენტები, სათავე დაედო ნაციონალურ რიტუალებს (მაგალითად, ბასტილიის აღების დღე) და სხვ. (8, 28). ისტორიკოსზე ისევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა თანამედროვეობა, მიმდინარე ეპოქის იდეოლოგიური, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორები. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ისტორიოგრაფიაზე ნაციონალიზმის ზემოქმედება. ისტორია ნაციონალიზმის სამსახურში ჩადგა. იგი ისევ მიკერძოებული, პარტიული ან, მაშინდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, სუბიექტური იყო, თუმცა, როგორც წესი, ისტორიკოსები თავს ობიექტურობაზე დებდნენ.

ისტორიის წერაზე თანამედროვეობის ზეგავლენა იმდენად ფართო იყო, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ისტორიის მეთოდოლოგიაში ახალი მიმართულებაც კი დამკვიდრდა, რომელიც პრეზენტიზმის სახელწოდებითაც ცნობილია. პრეზენტიზმის თანახმად, წარსული მხოლოდ თანამედროვეობის თვალთახედვით უნდა გაშუქებულიყო. ესე იგი, ისტორიულ ნარატივში ფაქტები და მოვლენები უნდა დალაგებულიყო და აღწერილიყო ისე, რომ მათ თანამედროვეობის ინტერესებისათვის ეპასუხათ.

პოსტმოდერნისტი-ისტორიკოსის კ. ჯენკინსის სიტყვით, ისტორია სულ უფრო იქცევა მეთოდად, რომელიც ნებას რთავს ადამიანებს, გაემგზავრონ წარსულში თანამედროვეობაზე ფიქრით, ეძებონ იქ და თავიანთი მოთხოვნილებისამებრ გადაანწყონ იგი“ (5). პრეზენტიზმი ახლოს იდგა პრაგმატიზმთან, რომელიც, გარდა იმისა, რომ იფარგლება ამბების გადმოცემით და არ ხსნის ისტორიული განვითარების ობიექტურ კანონებს, ჭეშმარიტად მხოლოდ იმას აღიარებს, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა.

ახალი დატვირთვა და განსხვავებული ფუნქციები დაეკისრა ისტორიას ტოტალიტარულ და დიქტატორული რეჟიმებში. მას მოცემული რეჟიმის ლეგიტიმაციის დასაბუთება დაევალა, პარალელურად, პოლიტიკური სისტემის ერთგული, მორჩილი და კონფორმისტი ადამიანების ფორმირებაზეც უნდა ეზრუნა და მასები მმართველი ძალის მხარდასაჭერადაც განენყო.



ისტორიას უნდა ეკისრა ძალაუფლების მპყრობელი პარტიისა თუ ბელადის წარსულის ჰეროიზაცია და ხელისუფლებაზე მათი უპირობო უფლების არგუმენტირება. იმის მტკიცება, რომ არსებული სისტემა ისტორიული და ბუნებრივი აუცილებლობის შედეგად, სრულიად კანონზომიერი გზით ჩამოყალიბდა და მას ალტერნატივა არ გააჩნია. პოლიტიკური რეჟიმები ისტორიას იყენებენ როგორც საკუთარი ლეგიტიმაციის მნიშვნელოვან წყაროს და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისათვის გამიზნულ იარაღს. წარმოებს წარსულის ინსტრუმენტალიზაცია კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისათვის, ისტორიული ცნობიერება სოციალური რეგულაციის ფუნქციას იძენს (9). ამგვარმა მიდგომამ ისტორია პუბლიცისტიკად ან შიშველ პროპაგანდად, ხოლო ისტორიული ნარატივი აგიტაცია-პროპაგანდის საფუძვლად აქცია.

ისტორიის ფაბრიკაციის მიზანი საზოგადოების გაბიაბრუება, მისი მოტყუილებაა. არავინ დაგიდევს, რომ ყალბი ისტორია ყალბ ცნობიერებას ასაზრდოებს, ადამიანს ნამდვილ თუ გამოგონილი მტრის მიმართ უკომპრომისოსა და დაუნდობელს ხდის (5). ასეთი იყო ისტორიული მეცნიერება, და მეცნიერება ზოგადად, კომუნისტურ სინამდვილეში, როცა იგი საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა (10). ისტორიის ჩართვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პროცესში საბჭოთა იდეოლოგიის განმტკიცებას ემსახურებოდა და არა საისტორიო მეცნიერების განვითარებას. ამის შედეგად საბჭოეთში ისტორია იქამდე მივიდა, რომ ტყუილი და მართალი ერთმანეთში აირია, რაც ისტორიის სახელმძღვანელოებშიც აისახა. სწორედ ამის გამო, 1988 წელს საბჭოთა სკოლის სინამდვილეში უპრეცედენტო მოვლენა მოხდა, გამოსაშვები სკოლების მოსწავლეები ისტორიის გამოცდისაგან გაანთავისუფლეს (11).

ისტორია, ერთი შეხედვით, ჰუმანიტარული მეცნიერების რიგითი, ჩვეულებრივი დარგია, რომელიც მოწოდებულია შეიცნოს და შეისწავლოს წარსული, წარმოაჩინოს მისი, რამდენადაც შესაძლებელია, რეალობასთან მიახლოებული სურათი და ასახოს ისე, „როგორც იყო სინამდვილეში“. მაგრამ, იმავდროულად,



ისტორია მრისხანე იარაღია სახელმწიფოთა ხელში საკუთარი პოლიტიკური მიზნებისა და სტრატეგიული ინტერესების განსაზღვრა. სახორციელებლად, როდესაც იგი იდეოლოგიის როლს ასრულებს.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ ფართო გავრცელება ჰპოვეს ისტორიის განსხვავებულმა ვერსიებმა. გაჩნდა ფალსიფიცირებული და იდეოლოგიზებული წარსულის მართებულად გააზრების შესაძლებლობა, მაგრამ ისტორიულმა წარატივმა უფრო მეტად ეთნოისტორიის სახე შეიძინა (12, 24-27). გამოიკვეთა საერთო წარსულის მიტაცების მანევრ მცდელობა და სხვ.

საბჭოთა კავშირის რღვევამ მასში შემავალ ხალხებს თავისუფლება მოუტანა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი, იმავდროულად, ახალი დიდი გამწვევების წინაშე დააყენა. სხვა მრავალთაგან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ წინანდელი „გამაერთიანებელი იდენტობის“ გაქრობამ და საერთო ჭერის მოშლამ ამ ხალხებს საკუთარი იდენტობის ძიებისაკენ უბიძგა.

ნაციონალიზმის თეორეტიკოსები და მკვლევარნი ერთხმად მიუთითებენ, რომ იდენტობის ერთ-ერთი გამორჩეული კომპონენტი ისტორიაა. ფრანგი სოციოლოგის პიერ ნორას სიტყვით, „წარსულის ხსოვნა ანმყო იდენტობას განსაზღვრავს“ (13, 331). ენტონი სმიტის მიხედვითაც, „საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება“ იდენტობის მნიშვნელოვანი საფუძველია (14, 34).

რადგან ამა თუ იმ ერის ნაციონალურ იდენტობა დიდწილად საკუთარ ისტორიასთანაა დაკავშირებული, ახალი იდენტობის ძიებამ, რაც საბჭოეთის დეზინტეგრაციით იყო განპირობებული, დღის წესრიგში წარსულის გადასინჯვის პრობლემა დააყენა. ისტორიას თანამედროვე პოლიტიკურ მისწრაფებათა მართლზომიერების დასაბუთების ამოცანა დაეკისრა. ცალკეული ერისა თუ ეთნოსის პოლიტიკურმა ელიტამ ისტორიის სოციალურ კონსტრუირებას მიმართა. საზოგადოებისთვის ახალი, მითოლოგიზებული შეხედულებები უნდა შთაეგონებინათ და იგი მათ სისწორეში დაერწმუნებინათ. ისტორიის ამგვარი პოლიტიკური ინტერპრეტაცია გათვლილი იყო პრინციპზე: „რასაც იჯერებს მასა, ისაა სინამდვილე“. ასეთ რეალობაში შესუსტდა მოთხოვნა ობიექტურობაზე, პირველ-



წყაროების მიუკერძოებელ ანალიზსა და პუბლიკაციათა მეშვეობით ხიზოთ ხიზოთ სიღრმეზე და განმსაზღვრელი კონიუნქტურა გახდა.

მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას თავდაღწეული ისტორიული ნარატივი გასული საუკუნის 90-იან წლებში ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ეთნონაციონალიზმის რელსებზე იქნა გადაყვანილი. დაიწყო ისტორიის ეთნიკური გადააზრება და ინტერპრეტაცია (15). ნაციონალური ისტორიები იწერებოდა „რევერსის“ მეთოდით: ანმყოდან წარსულში, წარსულზე თანამედროვე სიტუაციების პროექციებით (16, 141). ამასთან, თუ კომუნისტურ პერიოდში ისტორია „იდეოლოგიურად ანგაჟირებული“ დარგი იყო, ახლა იგი „პოლიტიკური ანგაჟირების“ მსხვერპლად იქცა. ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების თვითნებური განმარტებები პოლიტიკაშიც მომძლავრდა, რაც, მაქს ვებერის სიტყვით, სრულიადაც არ ნიშნავს „პოლიტიკის გამეცნიერებას ან პოლიტიკის სციენტიფიკაციას“. ეს უფრო წარსულის პოლიტიზაცია, ისტორიით მანიპულირება და მისი ინსტრუმენტალიზაციაა, რასაც მეტწილად პოლიტიკური ინტერესი და მოტივაცია განაპირობებს (17, 264). ამგვარი ისტორია ცალკეულ პოლიტიკოსთა ხელში პოლიტიკური დაპირისპირებისა და ეთნოკონფლიქტების მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. შენიშნულია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიული ინსინუაციების იდეოლოგიამ და ეთნოცენტრიზმმა, რომელთაც დაპირისპირებული მხარეები საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ (18, 14).

ისტორიის ინსტრუმენტალიზაციის გამო პასუხისმგებლობა პოლიტიკოსებს ეკისრებათ, წარსულის პოლიტიზება კი ისტორიკოსთა „დამსახურებაა“, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის პოლიტიკურ ინტერპრეტაციასაც, როგორც წესი, პოლიტიკური საფუძველი აქვს.

ისტორიულ ნარატივში პოლიტიკის მოძალეა და პოლიტიკურ ურთიერთობებში ისტორიული თემატიკის აქტუალიზაცია, როგორც ითქვა, უცხო არც ადრე ყოფილა, მაგრამ მისი ახალი, მასშტაბური ეტაპი საბჭოური რეჟიმის კრიზისის და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოვლინდა. როგორც პოს-



ტსაბჭოური სივრცის ეროვნებათშორისი ურთიერთობებისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის რეგიონული პოლიტიკის შედეგი მკვლევარი კორნელი სვანტე შენიშნავს, XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში არსებულმა უმცირესობათა დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა იმ რესპუბლიკების ნაციონალური იდენტობის მიღებაზე, რომლის შემადგენლობაშიც ცხოვრობდა: „უმცირესობები მათი იმჟამინდელი სტატუსის გადახედვისაკენ მიისწრაფვოდნენ და საკუთარი რესპუბლიკის არსებობის უფლებაზე პრეტენზიას გამოთქვამდნენ“ (19, 105).

ეს მოვლენა მთელი სისრულით წარმოჩნდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც. წარსულის განსაკუთრებული პოლიტიკება და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია ორივე ამ რეგიონში სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ისტორია მანამდეც ყოფილა მღელვარების საგანი ეთნიკურ აფხაზებსა და ქართველებს შორის.

1954 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი სწავლულის პავლე ინგოროყვას ფუნდამენტური გამოკვლევა „გიორგი მერჩულე“. ამ სქელტანიან წიგნში, ქართული წერილობითი წყაროებისა და უცხოელ ავტორთა ცნობების ანალიზის, ისტორიული ტოპონიმიკის, აფხაზეთის მხარეთა ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საფუძველზე, პავლე ინგოროყვა მივიდა დასკვნამდე, რომ აფხაზები ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანია და მათი თავდაპირველი სახელწოდება იყო „მოსხი“. რაც შეეხება გვიანდელ აფხაზებს (აფსუებს), ისინი, მეცნიერის აზრით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მე-17 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლდნენ (20, 114-295).

ამ წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იპოლიტე ვართაგავას სიტყვით, „საქართველოში XIX და XX საუკუნეში არ დაწერილა ასეთი ვრცელი, სერიოზული და ეროვნული გრძნობებით გამთბარი და მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომი.“ გრიგოლ რობაქიძე კი პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ გამოწერდა: „დიდი მარჯია საქართველოსი.... წიგნი ციხე-სიმაგრედაა აღმართული, ისეთ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავს და ვერარა აიღებს“ (21, 483).



რადიკალურად საწინააღმდეგო იყო ხსენებული წიგნისადმი მიმართება აფხაზეთში. პავლე ინგოროყვას თვალსაზრისი არ გაიზიარა ცნობილმა ისტორიკოსმა ზურაბ ანჩაბაძემ (22, 261-278), მაგრამ მისი მეცნიერული გამოხმაურება არ გასცილებია ეთიკის ფარგლებს, რასაც ვერ ვიტყვით ადგილობრივი ხელისუფლების რეაქციაზე.

აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიის ხელმძღვანელებმა პავლე ინგოროყვას „ისტორიის ფალსიფიკატორი, პოლიტიკურად საშიში, ბოროტი მწერალი“ უწოდეს, ხოლო მისი მონოგრაფია შეაფასეს ნაშრომად, რომელშიც „გაყალბებულია აფხაზი ხალხის ისტორია და კულტურა“ (23, 14).

აფხაზეთში მტრულად შეხვდნენ ასევე აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III წიგნს, რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა. მეცნიერი ასაბუთებდა, რომ ფეოდალური ქართული სახლმწიფოსა და ქართული კულტურის შექმნაში აფხაზები ისევე მონაწილეობდნენ, როგორც ქართველები, კახელები, ეგრები ... და რომ, „შუა საუკუნეებში აფხაზები ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო“. აგრესიულად განწყობილმა აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლებმა ეს წიგნი სოხუმში, კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობის წინა მოედანზე დემონსტრაციულად დაწვეს და მოითხოვეს მისი მიმოქცევიდან ამოღება (23, 14). ამიტომაც იყო, რომ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შეხედულება აფხაზთა ვინაობის შესახებ მისი სხვა ნაშრომიდან კომუნისტურმა ცენზურამ პირდაპირ ამოგლიჯა. ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით: „ქართული ფეოდალური აზროვნება მუდამ ერთ სამყაროდ თვლიდა კავკასიას (ლეონტი), კიდევ უფრო - „საქართველოს“, რომლის სრულუფლებიანი წევრები იყვნენ ჰეროსის, ქართლოსის და ეგროსის ზვედრი ქვეყნები - მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი. ... ყველა ესენი „ქართველები“ იყვნენ და ეს არა მარტო კონფენსიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, ამდენადვე, აქ არ შეძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებებზე, საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე სა-



ქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“ (ხაზგასმული ციტატა ცენზურამ ამოიღო 1975 წელს გამოქვეყნებული ნ. ბერძენიშვილის ნიგნიდან „საქართველოს ისტორიის საკითხები“ VIII, გვ. 610. ნიგნის მომდევნო, 1990 წლის გამოცემაში ტექსტი აღდგენილია).

ცნობილია, რომ აფხაზ და ოს ისტორიკოსებს მე-20 საუკუნის ბოლომდე არ შეუქმნიათ მონოგრაფიული ნაშრომები, რომლებშიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარსული და თანამედროვეობა კომპლექსურად იქნებოდა გაშუქებული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთი ავტონომიით სარგებლობდა და თუ აფხაზები მოინდომებდნენ, აფხაზეთის ისტორიაზე ნიგნების გამოცემას მათ ამას არავინ დაუშლიდა. ამავე პერიოდში საქართველოში მცხოვრებ ოსებსაც სრული უფლება ჰქონდათ, ეკვლიათ, ეწერათ და გამოეყვეყნებინათ თავიანთი ისტორია. ასევე, უნდა ითქვას, რომ კომუნისტური ხელისუფლების პირველ დეკადაში არც საბჭოთა რეჟიმი კრძალავდა რეგიონული ისტორიის წარმოჩენას. მაგრამ, მე-20 საუკუნის შუახანებამდე, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, აფხაზებსა და სამხრეთელ ოსებს არ ჰყოლიათ სათანადო კვალიფიციური კადრები, რომლებიც თავს გაართმევდნენ მსგავს ამოცანას. სავსებით სწორი იყო დიმიტრი გულია, როდესაც 1925 წელს გამოცემულ ნიგნში „აფხაზეთის ისტორია“ (ნიგნში თხრობა მოყვანილია მე-10 საუკუნემდე) შენიშნავდა: აფხაზეთის ისტორია ჯერ არ დაწერილა, არათუ არქეოლოგიური, უფრო მისაწვდომი მინის ზედა კულტურის ძეგლებიც შეუსწავლელია, ძველ ავტორებთან არსებული ფრაგმენტული მონაცემები კრიტიკულ ანალიზს მოითხოვს. მეცნიერებს კიდევ ათეული წლები დასჭირდებათ, რომ აფხაზეთის ისტორია რამდენადმე მაინც ჭეშმარიტებას მიუახლოვონ (24, 32).

დაახლოებით იგივეა აღნიშნულია 1926 წელს გამოცემული რუსი ავტორის კ. კუდრიავეცის ნიგნში, რომელიც აფხაზეთის ისტორიას შეეხება: „როდის მოვიდნენ აფხაზები, საიდან მოვიდნენ და რისთვის დამკვიდრდნენ კავკასია-შავი ზღის სანაპი-

როზე, - კითხვაა, რომელზეც ამ დროისათვის პასუხი შეუძლებელია, რაიმე ცნობებისა და მონაცემების უქონლობის გამო (25, 38) (კ. კუდრიავცევის ნიგნზე გამოცემის თარიღი შეცდომითაა მითითებული. უნდა იყოს 1926 (26, 8).

აფხაზი ისტორიკოსების პირველი თაობა (გიორგი ძიძარია, შალვა ინალ-იფა, ივანე აჯინჯალი, ზურაბ ანჩაბაძე და სხვ.), რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოვიდა, დაინტერესდა აფხაზეთის ისტორიის საკითხებით და ამ მიმართებით სერიოზული გამოკვლევებიც შექმნა. ოლონდ, ეს იყო ამა თუ იმ ეპოქის ცალკე მონაკვეთების ისტორია და არა ერთიანი და გაბმული ნარატივი (27; 28; 29; 30; 31; 32).

იგივე ითქმის ოს ისტორიკოსებზეც (იური გაგლოითი, ნიკოლოზ და იური ცხოვრებოვები, გიორგი თოგოშვილი და სხვ.), რომელთა ნიგნებიც მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ქვეყნდებოდა (33; 34; 35).

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც ცალკე ერთეულების ისტორიის შესახებ პირველი ნაშრომები გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა და იგი იმ დროს შექმნილი ახალი რეალობით იყო განპირობებული. კერძოდ, საბჭოთა იმპერიის რღვევისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტისაკენ სწრაფვის პარალელურად, სეპარატიზმისა და დამოუკიდებლობისაკენ მოძრაობა კომუნისტური იერარქიით უფრო დაბლა მდგომ პოლიტიკურ წარმონაქმნებშიც, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც აღინიშნა. ამ მოძრაობის ლიდერებმა ხსნა წარსულში დაინახეს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ აფხაზური და ოსური „ნაციონალური იდენტობის გასამყარებლად“, აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კანონიერების ყველაზე სოლიდურ არგუმენტად მათივე ისტორია უნდა გამოეყენებინათ.

ეს ფაქტი მკაფიოდ და ნათლად ცხადყოფს, რომ ეროვნულ ისტორიაზე მოთხოვნა ნაციონალურმა გამოწვევამ და პოლიტიკამ განსაზღვრა. შესაბამისად, პოლიტიკის გავლენა უნდა ასახულიყო და სრულად აისახა კიდევ აფხაზეთისა და სამხრეთ



ოსეთის ისტორიის პრობლემატიკაზე გამოქვეყნებულ წიგნებში, და რაც მთავარია, ამ გავლენას ვერ გადაურჩნენ ისტორიის სახელმძღვანელოები. მეტიც, ეს სახელმძღვანელოები პირდაპირ პოლიტიკური დაკვეთით შეიქმნა. ამ წიგნებს უნდა წარმოეჩინათ, რომ აფხაზეთს ისტორიულად გააჩნდა საქართველოსაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ხოლო სამხრეთელი ოსები იმ მინა-წყლის ავტოქტონური მოსახლეობა იყვნენ, რომელზეც 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.

ისტორიის სახელმძღვანელოებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ არა მხოლოდ მოზარდი თაობის ისტორიული ცნობიერების ფორმირებასა და ღირებულებათა ორიენტაციის განსაზღვრაში, არამედ ზოგადად, წარსულის ხსოვნისა და მეხსიერების გადაცემის საქმეშიც (13, 333). ამასთან, რუსი მკვლევარის, ვ. შნირელმანის სიტყვით, ისტორიის სახელმძღვანელო ძირითადად მიმდინარე საზოგადოებრივ განწყობებს ასახავს, რომლებიც გამოხატულია მისი ავტორის აქტიური პოლიტიკური პოზიციით ან სოციალურ-პოლიტიკური დაკვეთის მისეული გაგებით (36).

თანამედროვე ეტაპზე ისტორიის სწავლების ამოცანად მიჩნეულია მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების ხელშეწყობა, საზოგადოებაში ჰუმანური მიდრეკილებების ფორმირება, სოლიდარობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გალრმავება, შერიგებისა და მრავალფეროვნების პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბება. ამიტომაც არის, რომ ისტორიის სწავლებას დიდ ყურადღებას უთმობენ ევროპის საბჭოს შესაბამისი სტრუქტურები. აღსანიშნავია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთ რეკომენდაცია, რომელიც მიღებულია 2001 წელს და მოწონებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. ეს რეკომენდაცია ზოგადად და განსაკუთრებით კონფლიქტურ რეგიონებში ტოლერანტობის აღზრდას ითვალისწინებს. ხაზგასმულია მოსწავლეებში ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარების აუცილებლობა; მათში პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება დიალოგის,



ისტორიული არგუმენტების მოძიების, წინააღმდეგობრივ და სენსიტიურ საკითხებზე მულტიპერსპექტიულობის საფუძველზე წარმართული ღია დებატების გზით და სხვ.

რეკომენდაციის თანახმად, ისტორიის სწავლება განმსაზღვრელი ფაქტორია შერიგების, ადამიანებს შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის მისაღწევად. მას უნდა ეკავოს მნიშვნელოვანი ადგილი სხვადასხვა ეროვნული იდენტობის მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის გრძნობის ფორმირებაში. ისტორიის სწავლება არ უნდა იყოს იდეოლოგიური მანიპულირების, პროპაგანდის ინსტრუმენტი და არ უნდა გამოიყენებოდეს ულტრანაციონალისტური, ქსენოფობური, რასისტული თუ ანტისემიტური იდეების გასავრცელებლად. ისტორიის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს წინასწარგანწყობისა და სტერეოტიპების დაძლევას სასწავლო პროგრამებში სხვადასხვა ქვეყნის, განსხვავებული რელიგიების პოზიტიური ურთიერთგავლენის ასახვის გზით. ისტორიის სწავლება უნდა იქცეს წარსულის ჭრილობათა მოშუშების და საკაცობრიო ფუნდამენტურ ფასეულობათა პოპულარიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად (37, 84-85).

ტოლერანტობა განსხვავებულ კულტურათა, რელიგიათა, ცივილიზაციათა წარმომადგენელი ადამიანების თანაცხოვრების მნიშვნელოვანი წინაპირობა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ჰარმონიზაციის საშუალებაა. ტოლერანტობის, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი საგულისხმო ელემენტის მნიშვნელობა ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი 26), სადაც ასევე ხაზი აქვს გასმული განათლების როლს შემწყნარებლური სულისკვეთების ფორმირებაში. ამდენად, კვლავაც აქტუალურია იმ დროს იუნესკოს გენერალური დირექტორის ფედერიკო მაიორის სიტყვები, რომლითაც მან 1993 წელს მიმართა მსოფლიო სახელმწიფოთა მეთაურებს, მთავრობებს, მასწავლებლებსა და მშობლებს და მოუწოდა, აღზარდონ ბავშვები შემწყნარებლობის სულით, განუვითარონ მოსწავლეებსა და სტუდენტებს „სხვა“ ხალხებთან ურთიერთობის უნარები, შეასწავლონ „სხვების“ კულტურა და ისტორია, პატივი სცენ მათ ღირსებასა და თვითმყოფადობას,





რაც კაცობრიობის ერთობის საფუძველს ქმნის (38, 79-80) ამ საპასუხისმგებლო მიზნის მისაღწევად წინა პლანზე მულტიპერსპექტიულობის მეთოდი და ინტერკულტურული ისტორიის სწავლება უნდა წამოინიოს. მულტიპერსპექტიულობა სამყაროს სხვისი თვალთ დანახვისა და „უცხოს“ ემფატიკური გაგების სურვილია. იგი ისტორიულ მოვლენებში სხვადასხვა გადმოსახედიდან გარკვევას გულისხმობს, მათ შორის ამა თუ იმ სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვ. ჯგუფის პერსპექტივიდან (37, 83). მულტიპერსპექტიულობა, როგორც პ. ბერკი შენიშნავს, „წარსულის წვდომის ახალ პერსპექტივას“ იძლევა (39, 85). სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოებზე, რომელთაც კომუნისტური რეალობიდან არაერთი ხარვეზი გადმოყვა. დასავლელი ექსპერტების აზრით, ამ ხარვეზთა შორის ძირითადია: გადაჭარბებული იდეოლოგიზებულიობა, პოლიტიკური და სახელმწიფოებრიობის ისტორიის დომინირება სასწავლო თემებში, ეროვნული ისტორიის გადმოცემა როგორც კულტურულად, ისე ლინგვისტურად ძირითადი ეროვნული ჯგუფის გადმოსახედიდან, საერთო-ეროვნული ისტორიის ამ დომინანტი ჯგუფის ისტორიასთან გაიგივება (ეთნოცენტრიზმი) და ისტორიის სწავლების აგება ეროვნული ისტორიის ქრონოლოგიასა და შინაარსზე (37, 82).

აქვე დავძენდი, რომ არაერთი პოსტსაბჭოური ისტორიის სახელმძღვანელოსათვის ნიშანდობლივია წარსულის მიტაცების მცდელობა, დავა ტერიტორიებისა და მოცემულ მინა-წყალზე ავტოქტონობისათვის და წარსულის ნაციონალური ვერსიის შექმნა სხვათა სიძულვილის ნიშნით. ცნობილი რუსი ისტორიკოსის იური აფანასიევის სიტყვით, კი ისტორიის კონსტრუირება სხვა ხალხებისა და სახელმწიფოების მტრის ხატის საფუძველზე ყველაზე უარესია ისტორიულ ნარატივთა შორის (10).

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიის სახელმძღვანელოები ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ტიპურია. ამასთან, ხსენებული სახელმძღვანელოებისათვისაც დამახასიათებელია რამდენიმე პოლიტიკური მითიც, რაც ასევე ეთნოისტორიის აუცილებელი ატრიბუტია. კერძოდ: მითი წარმომავლობის შესახებ,



მითი რჩეულობისა და განსაკუთრებული მისიის შესახებ, მითი მრავალტანჯულობისა და უსამართლო ძალადობის მსხვერპლად ყოფნის შესახებ და „ოქროს ხანის“ მითი (37, 82).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ პოლიტიკური მითი თავისით არ ჩნდება. პოლიტიკური მიზნებისათვის განკუთვნილი პოლიტიკური მითი, გამომდინარე მისი ფუნქციონალური დანიშნულებიდან, ნარსული თუ თანამედროვე სინამდვილის თავისებური სტრუქტურირებაა (მოდელირება), პოლიტიკური პროექტია და იგი ამ თუ იმ ხელოვნურ კონცეფციას ეფუძნება. აქ ისტორიოგრაფიას ისტორიოსოფია ცვლის (40). ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი და სოციოლოგი მარკ ფერო შენიშნავს, რომ ისტორიული მითები კატალიზატორის როლს თამაშობენ ნაციონალისტური განწყობისათვის (14). ამერიკელი პროფესორი, პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი სტივენ ვან ევერა კი მიიჩნევს, რომ ნაციონალისტური ინტერესებით ამგავრი მითების გამოყენება სახიფათოა, რადგან მათ იოლად შეიძლება მიგვიყვანონ ძალადობრივ კონფლიქტებამდე (41, 5039). თუმცა არსებობს აზრიც, რომ ყალბი ისტორია მითებთან ერთად გაქრება, როგორც კი მისი არსებობის საჭიროება მოისპობა (42, 268).

აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელო პირველად 1991 წელს გამოქვეყნდა. მისი ავტორები არიან ოლეგ ბლაჟბა და სტანისლავ ლაკობა. ეს წიგნი მეორედ ორი წლის შემდეგ, ხოლო 2006 წელს მესამედაც გამოიცა (43). სახელმძღვანელოს გამოხმაურება მოჰყვა ქართველ ისტორიკოსთა მხრიდან. დაიბეჭდა პროფესორების ოთარ ჯანელიძის (44; 45, 10-17), ზურაბ პაპასკირის (46; 47, 69-90), გიორგი კიკნაძისა (48) და სხვა შეფასებები.

ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას სახელმძღვანელოს, „აფხაზეთის ისტორიის“ სრულად განხილვას ამ სახელმძღვანელოს ფორმატის (423 გვერდი) წიგნი დასჭირდებოდა. ბუნებრივია, აქ ყველა საკითხს ვერ შევხებით, მაგრამ აღვნიშნავთ ძირითად და არსებით მომენტებს.

სახელმძღვანელოს ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ნაშრომს საფუძვლად უდევს ისტორიულ-კულტურული კონცეფცია, გა-



ნიხილონ აფხაზეთის ძირეული მოსახლეობის - აფხაზების ისტორია მეზობელ ხალხებთან და ძველ ცივილიზაციებთან ურთიერთშეხებაში. მიუხედავად ამისა, ნიგნში მკაფიოდ ჩანს ავტორთა ერთი მთავარი მისწრაფებაა, ჩამოაცილონ აფხაზეთი და აფხაზები საერთოქართულ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ სივრცეს და რეგიონის ისტორიული წარსული საერთო-ქართული ისტორიისაგან სრულიად მონყვევით წარმოაჩინონ (46).

ნიგნი იწყება აფხაზთა ეთნოგენეზზე საუბრით. უნდა ითქვას, რომ ეს ურთულესი საკითხი სახელმძღვანელოში თავისებურადაა „გადაჭრილი“. ხაზგასმულია, რომ აფხაზური ენა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენაა, იგი ენათესავება ვაინახურ და დალესტინის აფხაზურ-ადილური ენების ჯგუფს, ასევე აღმოსავლურ კავკასიურ ენებს და მათთან ერთად ქმნის კავკასიურ ენათა ოჯახს. აფხაზ-ადილების წინარე სამშობლო კოლხეთის ეკოლოგიური ზოლი და მისი მიმდებარე მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი სივრცე ყოფილა. აფხაზურ-ადილური წინა ენის მატარებელი ხალხი დასავლეთ კავკასიის ველებისაკენ შორეულ წარსულში წინა აზიიდან დაძრულა. ხოლო ანტიკურმა ავტორებმა ძველაფხაზურ ტომების - სანიგების, აბაზგების, აფსილების (რომელთაც აფხაზებს თვითსახელწოდება აფსუა მისცეს) განსახლების არეალი კოლხეთში დააფიქსირეს (43, 407). ამ მისწრაფებაში ნათლად იკითხება ისტორიის თანამედროვე პოლიტიზაციის ნიშანი, დააძველონ საკუთარი ისტორია და გეოგრაფიულად ვრცელ სივრცეზე განავრცონ თავიანთი წარსული.

სახელმძღვანელოში ხშირად გვხვდება გამოთქმა „არსებობს აზრი“. ავტორები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმის დაზუსტებას, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის აზრი და გააჩნია თუ არა მას რაიმე მეცნიერული საფუძველი.

ო. ბლაჟუბა და ს. ლაკობა უკრიტიკოდ იზიარებენ რუსი ლინგვისტის გ. ტურჩანინოვის ჰიპოთეზას, რომ მსოფლიოს უძველეს ფინიკიურ ანბანურ დამწერლობას საფუძვლად აფხაზების, აბაზინებისა და უბიხების საერთო წინაპრის - აშუელების დამწერლობა დაედო (49). გ. ტურჩანინოვის მიერ გა-

შიფრული „მაიკოპისა“ და „ეშერის“ ეპიგრაფიკული ძეგლები სახელმძღვანელოს ავტორთა სიტყვით, აბაზგებისა და ადიღების წინა აზიის ხალხებთან, ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან ტრადიციულ კავშირებს ცხადყოფენ (43, 4).

ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს სახელმძღვანელოს ავტორების აზრი, რომ 786 წელს წარმოქმნილი ადრეფეოდალური სახელმწიფო აფხაზეთის სამეფო აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო იყო და რომ, ამ სამეფოს აღმოსავლეთით გაფართოებას წინ უსწრებდა კოლხეთში, ქართლსა და მესხეთში აფხაზური ეთნიკური ელემენტის გავრცელება. თავის მხრივ, ეს გარემოება შემდგომში ამ ტერიტორიების შემოერთების ობიექტური საფუძველი გამხდარა (43, 132). წყაროები და პირველ რიგში „მატიანე ქართლისაჲ“, რომელშიც აფხაზთა სამეფოს ისტორია მეტ-ნაკლები სისრულითაა გადმოცემული, ამ სახელმწიფოებრივ ერთეულს საერთო ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს ნაწილად განიხილავდა. რაც შეეხება ამ სამეფოში დანიშნურებულ ე.წ. „აფხაზურ“ დინასტიას, მას ქართველი მემატიანე „უცხოელ დამპყრობლად“ კი არ მიიჩნევდა, არამედ ისეთივე ქართველ ლიდერებად აღიქვამდა, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები (50, 68-104).

ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა აფხაზური სეპარატიზმის სათავეს ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში ხედავენ. წერენ, რომ ბაგრატი IV-ის პერიოდის (1027-1072 წწ.) ქართველთა და აფხაზთა გაერთიანებული სამეფო არ იყო მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო და ადგილობრივი ფეოდალები, მათ შორის აფხაზებიც, გამოყოფას ესწრაფვოდნენ. აფხაზთა სეპარატისტული განწყობილება თითქოს დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობაშიც შენარჩუნებული ყოფილა (43, 161-162).

ხსენებული ეპოქის ფეოდალურ ოპოზიციასში ეთნიკური შემადგენლის ძიება საფუძველს მოკლებულია. კონკრეტულ მონარქთან დაპირისპირებული ესა თუ ის ფეოდალი იმ დროს ეთნიკურ ნიადაგზე გამოყოფას კი არ ლამობდა, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებაზე თავისი გავლენის განსამტკიცებლად სამეფო ტახტზე სასურველი პრეტენდენტის დასასმელად იბრ-



ძოდა. ამდენად, შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალური და მეფის პოლიტიკური დაპირისპირება ცენტრისა და რეგიონის ურთიერთმიმართების, მით უფრო სეპარატიზმის ტერიტორიაზე არ უნდა გავიაზროთ, არამედ კრატოლოგიის ფარგლებში განვიხილოთ, როგორც ხელისუფლებაზე გავლენისათვის არისტოკრატის ბრძოლის ნაწილი.

სახელმძღვანელოში შუა საუკუნეების აფხაზეთის მატერიალური კულტურა დანარჩენი საქართველო¹⁾ კულტურისაგან იზოლირებულად, თვითმყოფად ფენომენადაა წარმოჩენილი. თითქოსდა არსებობდა ხუროთმოძღვრების „აფხაზურ-ალანური სკოლა“, რომელიც მხოლოდ ბიზანტიურ გავლენას განიცდიდა (43, 200). სინამდვილეში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები „საერთო ქართული ნაციონალური კულტურული მემკვიდრეობაა“, რომელსაც „თანაბრად ქმნიდნენ ქართველებიც და აფხაზთა წინაპრებიც“ (51) და არავითარი ცალკე „აფხაზურ-ალანური“ ქრისტიანული ხუროთმოძღვრება თუ ფრესკული მხატვრობა არასოდეს არსებულა.

ო. ბლაჟბასა და ს. ლაკობას აზრით, ქართულმა ენამ აფხაზეთში საქართველოს ძლიერების ხანაშიც კი (XI-XII საუკუნეები), გავრცელება მხოლოდ აფხაზ ფეოდალებში და ვაჭარ-ხელოსანთა გარკვეულ წრეებში ჰპოვა. და ეს მაშინ, როდესაც IX საუკუნიდან მოყოლებული მღვდელმსახურების, მნივნილობის და სახელმწიფო მმართველობის ენა მთელ ქვეყანაში და მათ შორის, აფხაზეთშიც, მხოლოდ ქართული იყო.

აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოში საქართველოს სამეფოს დაშლისა და აფხაზთა სამთავროს წარმოშობის დროდ XIII საუკუნეა აღნიშნული. ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებით კი, ერთიანი ქართული სახელმწიფო მხოლოდ XV საუკუნის ბოლოს დაიშალა.

ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა ტენდენციურობას ამჟღავნებენ ასევე XIX საუკუნის ისტორიის გაშუქებაშიც, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მონდომებით 1917-1921 წლების მონაკვეთს აყალბებენ. ცდლობენ დაამტკიცონ, რომ თვითმპყრობელობის დამხობის შემდგომ საქართველომ განახორციელა აფხაზეთის ოკუპ-



აცია და თითქოს მასობრივ ტერორსა და რეპრესიებს მიმართა (43, 296). ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ პირველწყაროებით და საბუთებულ ფაქტს, რომ 1918 წელს სახალხო გვარდიისა და ქართული ჯარის ნაწილები სოხუმში აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნით და მასთან შეთანხმებით შევიდნენ. გენერალმა ალექსანდრე კონიაშვილმა და ვალიკო ჯუღელმა აფხაზეთი მაშინ ბოლშევიკური ძალმომრეობისაგან იხსნეს. ბოლშევიკები სრულიადაც არ აპირებდნენ აფხაზეთის სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადებას, ისინი ამ კუთხის საბჭოთა რუსეთთან შეერთებას ესწრაფვოდნენ.

ქართულმა სამხედრო შენაერთებმა აფხაზეთი იმ ხანად ოსმალეთის მხრიდან წამოწყებული აგრესიისაგანაც დაიცვეს. მათ უკუაქციეს და განდევნეს მდინარე კოდორთან გადმოსხმული თურქ ასკერთა დესანტი და აფხაზეთში დიქტატურა კი არ დაამყარეს, როგორც ეს სახელმძღვანელოშია აღნიშნული (43, 295), არამედ აღკვეთეს ქაოსი და ანარქია. მოსახლეობას შეუქმნეს მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, უზრუნველყვეს ადგილობრივი სახელისუფლო სტრუქტურის - აფხაზეთის სახალხო საბჭოს დემოკრატიული პრინციპით არჩევა და სხვა. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აფხაზთა სახალხო საბჭომ ამგვარი დადგენილება მიიღო: გაეგზავნოს მეგობრული მიმართვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რათა დაგვეხმარონ აფხაზეთში სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში და საჭოს განკარგულებაში დატოვონ ამჟამად სოხუმში მყოფი ქართული გვარდიის რაზმი (52, 124).

სახელმძღვანელოში საეჭვოდაა ქცეული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთს მინიჭებული ჰქონდა პოლიტიკური ავტონომია და იგი ასახული იყო როგორც აფხაზეთის სახალხო საბჭოს სათანადო აქტში, ისე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში. პირველწყაროთა თანახმად, 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველი მუხლი აცხადებდა: „აფხაზეთი შედის



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“.

აქტი მოიწონა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. თავის მხრივ, საქართველოს ამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების პროექტი“ (53, 407), რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად დაამტკიცა. დებულებაში ხაზგასმულია: „აფხაზეთი მდინარე მესხადირიდან მდინარე ენგურამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის შინაგან საქმეებს“. საქართველოს კონსტიტუცია კი აკანონებდა: საქართველოს განუყოფელ ნაწილს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი) ადგილობრივ საქმეებში ენიჭება ავტონომიური მმართველობა.

აფხაზი ისტორიკოსები წინააღმდეგობაში ვარდებიან კიდევ ერთი საკითხის განხილვისას. ერთის მხრივ, ისინი ცდილობენ აფხაზეთი წარმოაჩინონ საქართველოსაგან ჩამოშორებულ, ცალკე პოლიტიკურ ერთეულად და მეორეს მხრივ, საყვედურობენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურ სოციალ-დემოკრატებს, რომ მათ თავიანთ საარჩევნო სიაში არ შეიყვანეს არც ერთი ეთნიკურად აფხაზი. „ნუთუ აფხაზეთი არ იყო ღირსი ჰყოლოდა თუნდაც ერთი წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში?“ - კითხულობენ ისინი (54).

საკმარისი იყო მათ ჩაეხედათ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრთა სიაში და ეს კითხვა ავტომატურად მოიხსნებოდა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1919 წლის თებერვალში ჩატარებულ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში ინტერნაციონალური სია წარადგინა, რომელშიც ქართველებთან ერთად, საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეთნოსის წარმომადგენელი შედიოდა, კერძოდ, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, აფხაზი, ებრაელი, ბერძენი და აისორი. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 130 დეპუტატს შორის აფხაზი ეროვნების 4 დეპუტატი იყო: ვასილ ღურჯუა, არზაყან ემუხვარი, ვარლამ და



ყადირ შერვაშიძეები (55), ხოლო მათ გარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციიდან დამფუძნებელ კრებაში არჩეული იყვნენ დიმიტრი ზახაროვი და ივანე ფაშალიდი (56, 299).

აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორები იგნორირებენ დოკუმენტურ მასალას და მიიჩნევენ, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთს უპირობოდ ცნობდა საქართველოს შემადგენელ ტერიტორიად, თითქოს არ ვრცელდებოდა აფხაზეთზე, რადგან იგი იმ დროს საქართველოს ჯარებით იყო ანექსირებული (43, 337).

თავიანთ ერთობლივ ნაშრომში „აფხაზეთი. სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის სამართლებრივი საფუძვლები“, ტ. შამბა და ა. ნეპროშინი კი ლაპარაკობენ აფხაზეთის არა სამხედრო, არამედ „პოლიტიკურ ექსპანსიაზე“, რომელიც, თურმე, მიმართული ყოფილა „ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობის შეცვლისაკენ“ (57). სინამდვილეში, ხსენებული ხელშეკრულება, რომელიც 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში გაფორმდა, აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდა, სახელმწიფოებრივი საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის კი მდინარე ფსოუზე გაივლო. საგულისხმოა, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭომ ეს ინფორმაცია სიხარულით მიიღო და საქართველოს დამფუძნებელ კრებას სპეციალური რეზოლუციაც გაუგზავნა (58, 80).

რაც შეეხება აფხაზეთის საქართველოს ჯარებით ანექსირებას, ის მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1918 წელს აფხაზეთში სამხედრო შენაერთები აფხაზეთა სახალხო საბჭოს თხოვნით იქნა შეყვანილი. ამასთან, აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენელი, მისი ავტონომიური ნაწილი იყო და რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას სრული უფლება ჰქონდა, სახელმწიფოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, სამხედრო ფორმირებები ქვეყნის ყველა სტრატეგიულ კუთხეში, მათ შორის აფხაზეთშიც ჰყოლოდა დისლოცირებული. კონკრეტულად, საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადების პე-



რიოდში კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შემოღებული იყო თავდაცვით ომში - იგერიებდა გასაბჭოებულ რუსეთს და ბაიჯანის საზღვრებიდან შემოჭრილ წითელი არმიის ნაწილებს და, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, საშუალება არ გააჩნდა ჯარის მნიშვნელოვანი კონტიგენტი აფხაზეთშიც დაეტოვებინა.

სამხრეთ ოსეთის ისტორიის პირველი სახელმძღვანელო 1990 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა (59). რეგიონის სკოლებში ოსი ხალხის წარსული ერთხანს ამ 240-გვერდიანი წიგნით ისწავლებოდა, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ სახელმძღვანელო გააკრიტიკეს და მასზე უარი თქვეს. ა. ჩიბიროვის რედაქციით მომზადებული ეს ნაშრომი შემდეგში აღარც გამოცემულა. უპირატესობა მიანიჭეს პროფესორების მ. ბლიევისა და რ. ბზაროვის სახელმძღვანელოს, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის სკოლებშიც გამოიყენებოდა და თხრობა უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა (60). როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელო რთულად აღსაქმელი და ძნელად სასწავლი აღმოჩნდა. ამის გამო და იმიტომაც, რომ წიგნი „შორს იყო სრულყოფილებისაგან და არ ასახავდა თანამედროვე პერიოდს“, ისიც დაიწუნეს (61). 2011 წლიდან ცხინვალში დაიწყო მზადება ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შესაქმნელად. მისი დაწერა ადგილობრივ მეცნიერთა ჯგუფს (ლ. ჩიბიროვი, რ. გაგლოითი, მ. ჯიოევი, ი. გაგლოევა) დაავალეს, რომელსაც პროფესორი ი. გაგლოითი ხელმძღვანელობდა. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმძღვანელოზე მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს, დასახელდა გამოცემის ზუსტი თარიღიც და სხვა, მაგრამ წიგნს დღემდე შვის სინათლე არ უხილავს. მუშაობა სხვადასხვა მიზეზის გამო გაჭიანურდა. ოსი ისტორიკოსების განცხადებით, საქმეს დიდად ართულების ის გარემოება, რომ მათ არ მოეპოვებათ კვლევები თავიანთი ისტორიის ახალი და თანამედროვე პერიოდების შესახებ, რასაც უნდა დაეყრდნოს სახელმძღვანელო. ამიტაც უნდა აიხსნას, რომ 2014 წელს სამხრეთ ოსეთის ისტორიის სახელმძღვანელოდ გათვალისწინებული ნაშრომის მხოლოდ ერთი ნაწილი დაიბეჭდა, რომლის ავტორიც არის ლ. ჩიბიროვი.

ლ. ჩიბიროვის რედაქციით გამოსულ 1990 წლის სახელმძღვანელოში ლაპარაკია, რომ მონღოლების შემოსევების შედეგად ცენტრალურ კავკასიის მთიანეთში შეხიზნული ალანები XIII საუკუნის შუა ხანებში ჩამოსახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩამოსახლების პროცესი XVIII საუკუნემდე გაგრძელდა, რის შედეგაც, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩრდილოეთ ნაწილში, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე, შიდა ქართლში ჩამოყალიბდა ოსი ხალხის სამხრეთული შტო (59, 64-65). ამავე საკითხთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულია სამხრეთ ოსეთის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს მოსამზადებელი ჯგუფის ხელმძღვანელის, პროფესორ ი. გაგლოითის თვალსაზრისი. მისი სიტყვით: ყველა არსებული მონაცემი ცხადყოფს ოსების ლოკალიზაციას ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე სულ მცირე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხანის ბოლო საუკუნეებიდან. ოსი ეთნოსის სამხრეთული შტოს ფორმირება კი სათავეს სკვითების ეპოქაში - ჩვ. წ. აღ.-მდე VII-VI ს.ს. იღებს (62, 56).

ოსი ისტორიკოსების მიზანი ცხადია, ისინი ესწრაფვიან, დააჯერონ მკითხველი, რომ ოსები კავკასიის (მათ შორის სამხრეთ კავკასიის) ავტოქტონი მოსახლეობაა და ცდილობენ რეგიონში ოსი ეთნოსის მკვიდრობაც დააძველონ. წარსულის ამგვარი მოდელირებაც ისტორიის თანამედროვე პოლიტიზაციის არსენალიდანაა და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ ოსთა ეთნოგენეზის პრობლემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ბოლო დროს არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა, მათ შორის ანგარიშგასანევია პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის პუბლიკაციები. მეცნიერის დასკვნით: „დადგენილია, რომ ირანულენოვანი ოსები კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არ არიან.“ „ირანულენოვანი ალანების, რომლებიც თანამედროვე ოსების უშუალო წინაპრები იყვნენ, ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა.“ ალანები კავკასიელებად IV-V საუკუნეებში იქცნენ. „კავკასიაში მიმდინარეობდა შუა აზიასა და მის ჩომიჯნავე ტერიტორიებზე ჩამოყალიბებული და აქ დამკვიდრებული ირანულენოვან მასასთან ადგილობრივი ეთნოსების შერწყმა, ეთნიკური ასიმილაცია“. „აღსანიშნავია, რომ ოსთა ეთნოგენეზის პრობლემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ბოლო დროს არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა, მათ შორის ანგარიშგასანევია პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის პუბლიკაციები. მეცნიერის დასკვნით: „დადგენილია, რომ ირანულენოვანი ოსები კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არ არიან.“ „ირანულენოვანი ალანების, რომლებიც თანამედროვე ოსების უშუალო წინაპრები იყვნენ, ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა.“ ალანები კავკასიელებად IV-V საუკუნეებში იქცნენ. „კავკასიაში მიმდინარეობდა შუა აზიასა და მის ჩომიჯნავე ტერიტორიებზე ჩამოყალიბებული და აქ დამკვიდრებული ირანულენოვან მასასთან ადგილობრივი ეთნოსების შერწყმა, ეთნიკური ასიმილაცია“.

„აღსანიშნავია, რომ ოსთა ეთნოგენეზის პრობლემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ბოლო დროს არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა, მათ შორის ანგარიშგასანევია პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის პუბლიკაციები. მეცნიერის დასკვნით: „დადგენილია, რომ ირანულენოვანი ოსები კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არ არიან.“ „ირანულენოვანი ალანების, რომლებიც თანამედროვე ოსების უშუალო წინაპრები იყვნენ, ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა.“ ალანები კავკასიელებად IV-V საუკუნეებში იქცნენ. „კავკასიაში მიმდინარეობდა შუა აზიასა და მის ჩომიჯნავე ტერიტორიებზე ჩამოყალიბებული და აქ დამკვიდრებული ირანულენოვან მასასთან ადგილობრივი ეთნოსების შერწყმა, ეთნიკური ასიმილაცია“.



ლოს ტერიტორიაზე საკმაოდ გვიან გამოჩნდნენ: დვალეთში XVI საუკუნეში, ხოლო შიდა ქართლის მთიანეთში XVII საუკუნეში ხანებიდან“ (63, 395-401).

ლ. ჩიბიროვის რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორები მიიჩნევენ, რომ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის კონსტანტაციით შემოფარგლულა და არა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებით (59, 154). სინამდვილეში, მოსკოვის ხსენებული ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი უპირობოდ ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს და საქართველოს უდავო, განუყოფელ ნაწილად აღიარებდა ადრე კავკასიის სამეფისნაცვლოში შემავალ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ყველა მაზრას, ასევე ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებს.

ამავე სახელმძღვანელოს მიხედვით, 1920 წლის ივნისის აჯანყებისას სამხრეთ ოსეთში ქართველი გვარდიელების მიერ გადამწვარი სოფლების რაოდენობა 25 ყოფილა (59, 155). ახალ ნაშრომებში ამ სოფელთა რიცხვი 130-მდე გაიზარდა. ამასთან, ხაზგასმულია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამხრეთ ოსეთის ლიკვიდაციის გადანყვეტილება საგანგებოდ მიიღო, რადგან სურდა „ოსი ხალხის ეთნოტერიტორიული სამშობლოს განადგურება“ (64, 92-97). იმ დროინდელი გაზეთის „Советский Кавказ“-ის თანახმად, რომელიც თვით ოსი ავტორის შეფასებით, „კარგად იყო ინფორმირებული სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში“, გადაუნვავეთ მხოლოდ 17 სოფელი (65, 114-115).

სამხრეთ ოსეთის ისტორიის 1990 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ 1922 წელს ბოლშევიკების მიერ ჩამოყალიბებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაუერთიანებიათ „კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე კომპაქტურად მცხოვრები ოსების ისტორიულ ტერიტორია“ (59, 163). თავი რომ დავანებოთ „ოსების ისტორიულ ტერიტორიას“, რომელიც კავკასიის სამხრეთ კალთებზე არასოდეს არ-

სებულა, სახელმძღვანელოში არაფერი ნათქვამი 40-ზე მეტ ქართულ სოფელზე, რომლებიც ძალით მოაქციეს ახლად წარმოქმნილი ოლქის საზღვრებში (66, 94).

სამხრეთ ოსეთის ისტორიის პირველი სახელმძღვანელო 1990 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიბეჭდა, ამიტომ მასში ვერ აისახა რეგიონში ამ დროისათვის განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტი და მისი შედეგები. სამაგიეროდ ამ თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ ოს ისტორიკოსთა პუბლიკაციებში.

ეს პუბლიკაციები სრულიად ტენდენციურად, სიყალბით წარმოაჩენენ რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის სამწლიან მონაკვეთსაც. ოსი ისტორიკოსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გაუმართლებელ აგრესიასა და ოსი ხალხის გენოციდში სდებენ ბრალს (64, 93; 65, 112). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს დებულება რაიმე კვლევასა და მეცნიერულ არგუმენტაციას კი არ ეფუძნება, არამედ საისტორიო ნაშრომებში ადგილობრივ პოლიტიკოსთა გადაწყვეტილების საფუძველზე შევიდა.

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სახალხო დეპუტატთა სესიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია „რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციისა და 1920 წელს სამხრეთ ოსების გენოციდის თაობაზე“. 2006 წლის 13 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, პოლიტიკური შეფასება მისცა 1918-1920 წლების მოვლენებს და მიიღო დადგენილება 1918-1920 წლებში ოსი ხალხის გენოციდის შესახებ (67).

აღნიშნული ფაქტი ნათლად აჩვენებს, რომ პოლიტიკოსებმა გაყალბებული ისტორია პოლიტიკური მიზნით გამოიყენეს ანუ ისტორიის ინსტრუმენტალიზაციას მიმართეს, ისტორიკოსებმა კი იმავე ინტერესებით, თანამედროვე ტერმინოლოგია წარსულში გადაიტანეს და ამით ისტორიის პოლიტიზებაში ჩაერთნენ.

ქართველთა მხრიდან „ოსი ხალხის გენოციდის“ უსამართლო ბრალდების გასაქარწყლებლად, რამდენიმე წლის წინ



ქართულ და რუსულ ენებზე უკვე გამოვაქვეყნე 2 სტატია (68, 3-14; 69), ამიტომ მასზე ვრცლად აღარ შეჩერდები და მოკლედ აღვნიშნავ:

1918-1921 წლებში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს - არც მმართველ და არც ოპოზიციურ პარტიებს, საქართველოში მცხოვრები ოსებისადმი ეთნიკური ნიშნით რაიმე აგრესია არ გამოუვლენიათ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობებს თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უფლება-შესაძლებლობა მიეცათ. ჯერ კიდევ 1918 26 მაისს მიღებული „დამოუკიდებლობის აქტი“ საქვეყნოდ აცხადებდა, რომ საქართველო თანასწორად უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სხვ. რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“. ყოველივე ეს აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც, რომელშიც ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს ცალკე (მეთოთხმეტე) თავი ჰქონდა მიძღვნილი.

ქართული პოლიტიკურ ელიტა კარგად აცნობიერებდა, რომ სახელმწიფოსა და მისი ნაწილის - ეროვნული უმცირესობის პრობლემები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, და რომ „ერთის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა და ერთის უბედურება - უბედურებაა მეორისათვის“ (70, 127). აღსანიშნავია, რომ ვიდრე საქართველოს კონსტიტუციას შეიმუშავებდნენ, საკონსტიტუციო კომისიამ თავის სხდომებზე რამდენჯერმე მიიწვია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და მოისმინა მათი აზრი. მოწვეულთა შორის იყო საქართველოში არსებული ოსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელიც (71, 10-12).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ერთგულებას დეკლარირებული პრინციპებისადმი მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოს ეროვნული საბჭოს გადანყვეტილება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ აღიარებულ ამ დანესებულებაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენ-

ლებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. საქართველოში მცხოვრებ ოსებს საქართველოს ეროვნულ საბჭოში 2 დელეგატის წარგზავნის უფლება მიეცათ. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, რომელიც 1919 წლის თებერვალში პროპორციული სისტემით იქნა არჩეული, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, სამი სადეპუტატო მანდატი ოსი ეროვნების მოქალაქეებს - გიორგი გაგლოევს, კონსტანტინე პანიევსა და ალექსანდრე ფარნიევს დაეთმო.

მოუხედავად ამისა, 1918-1920 წლებში შიდაქართლელმა ოსმა მემამბოხეებმა სამჯერ მოაწყვეს აჯანყება ამ კუთხეში საბჭოთა წყობილების დამყარებისა და სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკურ რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. სამივე ეს აჯანყება საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის კრიტიკულ მოვლენებს დაემთხვა.

ბოლშევიკური ლოზუნგებით ოსთა პირველი გამოსვლა, რაც ცხინვალის დარბევასა და ძარცვაში გამოიხატა 1918 წლის მარტში, შეგულიანებული იყო იმ ხანად ჩრდილოეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებითა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნით. ეს ის დროა, როდესაც ოსმალეთი ბრესტის ზავით მისთვის მიკუთვნებულ ქართულ და სომხურ ტერიტორიებს აღარ დასჯერდა და სამხრეთ კავკასიის სიღრმეში შემოიჭრა. ოსმა მემამბოხეებმა დამპყრობლის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყანას სწორედ ამ რთულ მომენტში გაუხსნეს ზურგში ცეცხლი.

1919 წლის შემოდგომაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებს მოხალისეთა თეთრგვარდიული არმია მოუახლოვდა. შეიქმნა დენიკინის თავდასხმის რეალური საფრთხე. ოსებმა ისარგებლეს ამ გართულებებით და კვლავ ამბოხება წამოიწყეს.

1920 წლის მაისში რუსეთის წითელი ჯარის ნაწილებმა გასაბჭოებული აზერბაიჯანის მხრიდან ჩვენი ქვეყნის საზღვრები გადმოკვეთეს. საქართველოს თავისუფლებას ახალი განსაცდელი დაემუქრა. შიდა ქართლის სეპარატისტულად განწყობილი ოსები კვლავ შეეცადნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ეს გარემოება. თავდაცვით ომში ჩაბმულ ქართულ სახელ-



მნიფოს ოსები კიდევ ერთხელ აუმხედრდნენ. ისინი რეველუციურ ომს უცხადებდნენ საქართველოს, იბრძოდნენ მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და აბრკოლებდნენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. ხსენებულ აჯანყებებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველი ბოლშევიკებიც ალექსანდრე გეგეჭკორი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე და სხვა, რომლებიც კრემლისა და რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ინსტრუქციებით მოქმედებდნენ (68, 4-12).

ოსი პოლიტიკოსების განცხადებით, რომელსაც იმეორებენ ოსი ისტორიკოსებიც, საქართველოს ხელისუფლებამ 1918-1920 წლებში სამხრეთელ ოსებს თითქოს თავს მოახვია გამანადგურებელი ომი. ფაქტები სხვას მეტყველებენ: „1918 წლის აჯანყება ჩახშობილი არ ყოფილა. იგი ლიკვიდირებულ იქნა მოლაპარაკების გზით“, - ვკითხულობთ 1920 წელს შედგენილ „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში“ (72, 300). აჯანყების მონაწილეთა მონაწილობით, ვიდრე სამხედრო ძალას გამოიყენებდა, საქართველოს მთავრობა ამბოხებულ ოსებს საქმის მშვიდობიან გადავებას სთავაზობდა 1920 წლის ივნისშიც, მაგრამ მათგან კატეგორიული უარი მიიღო (73, 73).

არსებობს სხვა დოკუმენტიც, რომელიც ნათელყოფს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები პრევენციულ ზომებს მიმართავდნენ, ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს ლოიალობისა და კანონიერების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. აფრთხილებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგის დარღვევის, განსაკუთრებით შეიარაღებული გამოსვლისათვის ისინი მკაცრად იქნებოდნენ დასჯილი. მაგალითად, 1918 წლის ივნისით დათარიღებულ ერთ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია: „მთავრობამ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. თიბილოვს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: საქართველოს რესპუბლიკას ცნობები მოუვიდა, რომ ბოლშევიკები ოსთა შორის აგიტაციას ეწევიან და მოუწოდებენ ცხინვალზე გამოილაშქრონ. მთავრობა წინადადებას გაძლევთ თქვენ, გააფრთხილოთ მცხოვრებნი, რომ ასეთი გამოსვლა დამლუპველი იქნება მათთვის, რადგანაც ყოველი შეიარაღებული გამოსვლა აჯანყებად ჩაითვლება და მთავრობა მას უსასტიკესი ზო-

მებით ჩააქრობს. გაცნობებთ რა ამას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებლობას იშორებს თავიდან შედეგებისას, თუ ამგვარი გამოსვლა მართლა მოხდება. წინადადებას გაძღვეთ, ეს აცნობოთ მცხოვრებლებს” (74).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ამბოხებულ ოსთა მიმართ არ გამოუჩენია განსაკუთრებული სიმკაცრე 1918-1919 წლებში მათ მიერ მოწყობილი გამოსვლების გამო. თუ მოიხელთებდნენ, სჯიდნენ მხოლოდ მოთავეებს. სხვებისადმი მთავრობა გულმონყალებას იჩენდა, ახსნა-განმარტების, შეგონებისა და სხვ. მშვიდობიან მეთოდებს ამჯობინებდა. საქართველოს მთავრობამ 1920 წელს აჯანყებული ოსი ბოლშევიკები დასაჯა მათი ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი ქმედებისათვის და არა ეთნიკური ნიშნით. უფრო ადრე სახელმწიფომ აოკვეთა ასეთივე ხასიათის ქართველი გლეხობის გამოსვლები დუშეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში და სხვ. უნდა ითქვას, რომ 1920 წელს ოსთა მიმართ საქართველოს სამხედრო შენაერთებმა სისასტიკეც გამოიჩინეს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს საპასუხო რეაქცია იყო საქართველოსადმი მათ მტრულ მოქმედებაზე. აღნიშნულ მოქმედებას არაფერი აქვს საერთო არც ეთნიკური პრინციპით ანგარიშსწორებასთან და არც ოსი ხალხის გენოციდთან. აჯანყებისაგან განზე მდგომი, სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი არც ერთი ოსი ეროვნების მცხოვრებისათვის მთავრობას ხელი არ უხლია. ისინი კვლავ რჩებოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეებად (68, 11-13).

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სეპარატისტულ მიდრეკილებებს, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც იდეოლოგიურად მათივე ისტორიოგრაფია ასაზრდოებდა. ამ საფუძველზე წარმოიშვა გამოთქმა „ისტორიკოსთა ომი“, რომლითაც დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციების გამოხატვაში ისტორიკოსთა პუბლიკაციების აქტიური გამოყენება აღინიშნება. ტერმინი „ისტორიკოსთა ომი“ პირველად რუსმა ეთნოლოგმა და ანთროპოლოგმა ვ. შნირელმანმა გამოიყენა (75). მისი სიტ-



ყვით, „ეთნიკური კონფლიქტების რაიონებში ისტორია, მძაფრი პოლიტიკური ბატალიების ველად გვევლინებოდა“ (76, 79080).

ქართველ ავტორთაგან სიტყვათა შნირელმანისეულ შეთანხმებას თამარ ქარაიასა (77, 10; 23, 10) და ავთანდილ სონლულაშვილის ნაშრომებში ვხვდებით. მკვლევრები ღია ახალაია და ბეჟან ხორავა ამჯობინებენ სინტაგმას „იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიული ომი“ (78, 12). მალხაზ თორია „ისტორიკოსთა ომის“ გარდა ტერმინ „ისტორიათა ომსა“ და „მეხსიერების კონფლიქტსაც“ იყენებს (8, 25, 31).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ჩვენ ქართველ სპეციალისტებსა და ექსპერტებს ამგვარი შეკითხვით მივმართეთ: „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ სეპარატიზმის გაღვივებასა და კონფლიქტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში წინ უსწრებდა ე. წ. ისტორიკოსთა ომი?“

გავეცნოთ ზოგიერთ პასუხს (პასუხები ინახება ჩემს არქივში, -ო. ჯ.):

ჯემალ გამახარია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „კონფლიქტების მიზეზად „ისტორიკოსთა ომის“ დასახელება სწორი არ უნდა იყოს. პირიქით, საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური და პოლიტიკური მოსაზრებით ქართველთა მხრიდან ზედმეტმა თავშეკავებამ ფარსო გასაქანი მისცა სეპარატისტული შეხედულებების დანერგვას, რომელსაც ყველაზე მეტად სწორედ, გაყალბებული ისტორიოგრაფია კვებავდა და დღესაც კვებავს.“

იქნებოდა თუ არა კონფლიქტი ისტორიკოსების ჩარევის გარეშე? რა თქმა უნდა, იქნებოდა. კონფლიქტები, დაპირისპირებები, გამოყოფისკენ სწრაფვა აფხაზთა და ოსთა მხრიდან ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ამ „საქმეში“ ისტორიკოსები ჩაერეოდნენ. „ისტორიკოსთა ომი“ არის დიდი ხნის წინ დაწყებული „პოლიტიკური ომის“ შედეგი, გაგრძელება და არა პირიქით“.

გიორგი ანჩაბაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „ჩემი აზრით, კონფლიქტების მთავარი მიზეზია არსებული სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობები. ისტორიკოსთა როლი მეორადია. მათ მიერ გაჩაღებული საინფორმა-

ციო ბრძოლა იწყება უკვე არსებული კონფლიქტების (თუნდაც ლატენტურად მიმდინარე) ფონზე. მაგრამ, ცხადია, „ისტორიკოსთა ომების“ შემოქმედებს ეს ფაქტი არ ათავისუფლებს მორალური პასუხისმგებლობისგან“.

ელდარ მამისთვალიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „ჩემი აზრით, „ისტორიკოსთა ომს“ ღრმა ისტორიული ფესვები ჰქონდა. აფხაზები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ის, რისი დამტკიცებაც არ შეეძლოთ და ვერც ახლა ამტკიცებენ. მგონია, ჩვენი მთავრობისა და ისტორიკოსთა უპრინციპო პოზიციამ ბევრი სიყალბის თქმისა და დაწერის უფლება მისცა მათ. რაც მოხდა, ის მაინც მოხდებოდა რუსეთის აფხაზეთისა და ოსებისადმი მხარდაჭერით“.

ვაჟა კეშელავა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „კონფლიქტები ისტორიკოსების გარეშეც გაღვივდებოდა, ვინაიდან მათ სხვა მიზეზები წარმოშობდნენ. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ისტორიკოსებს აქვთ უფლება „დაიბანონ ხელები“. ისტორიულ ცოდნასა და უფიცობას იყენებენ პოლიტიკურ ბრძოლაში. აქ კი მეცნიერებმა უნდა თქვან თავისი სიტყვა, თუ ისინი ჭეშმარიტების უზენაესობას ცნობენ“.

გია სიამაშვილი, ფილოსოფიის დოქტორი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი. „პოლიტიკური კონფლიქტის გაჩაღების პერიოდში, უშუალოდ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე იდეოლოგიურ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ინტელიგენციის ერთი ნაწილი, მათ შორის ისტორიკოსებიც. მაგრამ არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ კონფლიქტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში წინ უძღოდა ე.წ. ისტორიკოსთა ომი. კონფლიქტს წინ უძღოდა ხელოვნური და სხვადასხვა ერებზე ძალით თავს მოხვეული პოლიტიკური სისტემა, რომელიც, იმპერიული მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, განსხვავებული ხარისხის სტატუსებს ანიჭებდა სსრკ-ში შემავალ ერებს, რასაც მოგვიანებით შენელებული მოქმედების ნაღმები ეწოდა“.

გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სპეციალისტები და ექსპერტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი კონფლიქტების მიზეზს არ ხედავენ ისტორიკოსთა შეურიგებლობაში. მათი

აზრით, კონფლიქტები არ გამოუწვევია ქართველი და აფხაზი ქართველი და ოსი ისტორიკოსების დავასა და კამათს თუნდაც მწვავე ისტორიულ პრობლემატიკაზე. „ისტორიკოსთა ომი“ ამ კონფლიქტებში მხოლოდ მეორადი მნიშვნელობისაა, თუმცა ისტორიის საკითხები იყო კონფლიქტების გარკვეული შემადგენელი. პასუხებში, სავსებით სამართლიანად, ხაზგასმულია ისტორიკოსთა მორალური პასუხისმგებლობა თავიანთი შემოქმედებისათვის, რადგან ბევრი მათგანის მიერ გაყალბებული ისტორია სეპარატისტულმა ძალებმა ფართოდ გამოიყენეს საკუთარი მიზნების მისაღწევად.

რამდენად აცნობიერებენ ამგვარ პასუხისმგებლობას აფხაზი და ოსი ისტორიკოსები, ამ ეტაპზე, ჩვენთვის უცნობია (ერთი აფხაზი მკვლევრის, თ. აჩუგბას სიტყვით, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრობლემის ისტორიული ასპექტი, კერძოდ იმ ერი-ავტონომიის გამორკვევა, რომელსაც კანონიერად ეკუთვნის აფხაზეთის ტერიტორია (79). ზუსტად არც ის ვიცით, დღეისათვის მაინც, არიან თუ არა მეცნიერები ცხინვალსა და სოხუში თავისუფალნი ისტორიის წერისას პოლიტიკური ზეგავლენისაგან, მაგრამ მსოფლიო გამოცდილება გვარწმუნებს, რომ „ნარსულის გადალახვა“ და წინათ დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება „ისტორიის ფრონტზე“ სავსებით შესაძლებელია. ამის საფუძველს იძლევა გერმანულ-ფრანგული ისტორიის სახელმძღვანელოს ნარმატებით განხორციელებული და გერმანულ-პოლონური ისტორიის სახელმძღვანელოს მიმდინარე პროექტები.

ცნობილია, რომ გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში 2006 წელს გამოჩნდა ორივე ქვეყნის ისტორიკოსთა მიერ ერთობლივად დაწერილი სახელმძღვანელო „ისტორია. ევროპა და მსოფლიო 1945 წლის შემდეგ“, 2008 წელს გამოვიდა მეორე ტომი სახელწოდებით - „ევროპა და მსოფლიო ვენის კონგრესიდან 1945 წლამდე“, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა ამ გამოცემის პირველი ტომი „ევროპა და მსოფლიო უძველესი დროიდან 1815 წლამდე“ (80). პოლონეთსა და გერმანიაში რამდენიმე წელია ინ-

ტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა მსგავს პროექტზე, რომელიც 2015-2016 სანაწვლო წლისათვის უნდა დამთავრდეს (81).

არსებობს კონფლიქტურ მხარეთა შორის ზიარი ისტორიის შექმნის სხვა საყურადღებო მაგალითიც. კერძოდ, პალესტინურ-ებრაული სახელმძღვანელო, რომელშიც გვერდი-გვერდ, არაბულ და ებრაულ ენებზე წარმოჩენილია ისტორიის სადავო საკითხები და მოცემულია მათი განსხვავებული ინტერპრეტაციები (82).

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას, ჩვენ საგანგებოდ შევხვდით არაერთ ქართველ ისტორიკოსსა და ექსპერტს. მათ ვთხოვეთ, ეპასუხათ კითხვაზე: „მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად ერთობლივი პროექტის განხორციელება ქართველი და აფხაზი, ქართველი და ოსი, ქართველი, აფხაზი და ოსი ისტორიკოსების მონაწილეობით საქართველოს ისტორიის დაწერისა და გამოცემის მიზნით, რომელშიც უფრო მკაფიოდ და სრულად იქნება გაშუქებული ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის თანაცხოვრება?“ ზოგიერთი ისტორიკოსისა და ექსპერტის შეხედულება ამ საკითხზე წერილობითაც შევაგროვეთ. ქვემოთ რამდენიმე მათგანის მოსაზრებას გავეცნობით:

პროფესორ ჯემალ გამახარიას აზრით, „ერთობლივი პროექტების განხორციელება სეპარატისტი ისტორიკოსების მონაწილეობით თეორიულად შესაძლებელია. თანამედროვე აფხაზ და ქართველ ისტორიკოსებს შორის არ არის დიდი უთანხმოება XIX საუკუნის ისტორიის საკითხებში (აფხაზეთის რუსეთთან შეერთება, რუსეთ-კავკასიის ომი, მუჰაჯირობა და ა. შ). თუ პოლიტიკამ არ შეუშალა ხელი, სავსებით შესაძლებელია აღნიშნულ თემაზე თუ ცალკეულ ვინაობაზე თემებზე საერთო სამეცნიერო კონფერენციის მოწყობა, საერთო შრომების მომზადება და გამოცემა. ერთობლივი ძალებით საქართველოს ისტორიის დაწერისა და გამოცემის შესაძლებლობას დღეს ვერ ვხედავ. ამავე დროს, კარგი იქნება დაინეროს ისეთი ისტორიული ნარკვევი, სადაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოტანილი იქნება განსხვავებული (ქართული, აფხაზური, ოსური) შეხედულებები სათანადო არგუმენტაციით. მტყუან-მართალი კი მკითხველმა განსაზღვროს“.



პროფესორი გიორგი ანჩაბაძე ეჭვობს, რომ „მოუგვარებელი კონფლიქტის პირობებში შესაძლებელი გახდეს თობლივი ისტორიოგრაფიული ნაშრომის შექმნა დაპირისპირებული მხარეების ნარმომადგენელთა მიერ“.

გია სიამაშვილის აზრით, „ამგვარ ერთობლივ პროექტზე აფხაზი და ოსი ისტორიკოსები არ დათანხმდებიან, რადგან მთელ რიგ საკითხებზე ჩვენი პოზიციები რადიკალურად განსხვავებულია. მაგრამ, შესაძლებელია ისეთი პროექტის განხორციელება, რომელშიც სადავო საკითხებთან დაკავშირებით ნარმოდგენილი იქნება აფხაზი, ოსი და ქართველი ისტორიკოსების ვერსიები. ისტორიისადმი სტრუქტურალისტური მიდგომა შესაძლებლად მიიჩნევა ამგვარ პრაქტიკას“.

პროფესორი ვაჟა კეშელავა: „ვეჭვობ, რომ „საქართველოს ისტორიის“ ერთობლივად შექმნის წინადადება მიღებული იქნება სოხუმსა და ცხინვალში. შევეცადოთ, პირველ რიგში სამეცნიერო კონფერენციებზე მოვიწვიოთ ამ რეგიონების ნარმოდგენლები, უპირატესად ახალგაზრდები და ნაკითხული მოხსენებები, გამოსვლები და კამათი გამოიცეს კრებულების სახით. ეს შედარებით თავისუფალი ფორმატი შეიძლება მიმზიდველი გახდეს, როგორც დაახლოვებისა და შემდგომი თანამშრომლობის დასაწყისი“.

როგორც ვნახეთ, გამოკითხულთა უმრავლესობას საეჭვოდ მიაჩნია საქართველოს ისტორიის ერთობლივად დაწერა ქართველი, აფხაზი და ოსი ისტორიკოსების მონაწილეობით და ამის უმთავრეს მიზეზად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პოლიტიკოსთა მხრიდან ხელის შეშლა სახელდება. თუმცა ქართველი ისტორიკოსები იდეას იზიარებენ და გამოთქვამენ აზრს, რომ საქმის დაწყება შესაძლებელია ცალკეულ პრობლემებზე ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების გამართვით. მათ ასევე შესაძლებლად ესახებათ ისეთი ისტორიული ნარკვევების მომზადება, რომლებშიც სადავო საკითხების ირგვლივ, სათანადო არგუმენტაციაზე დაყრდნობით, ნარმოდგენილი იქნება განსხვავებული - ქართული, აფხაზური და ოსური ვერსიები.

დრო სწრაფად გადის, პოლიტიკოსები არ ჩქარობენ, კონფლიქტების მოგვარება კი ჭიანჭურდება. ალბათ, არ უნდა ველო-



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

დო პოლიტიკოსთა შეთანხმებებს, შეიძლება აფხაზ და
ტორიკოსებთან მანამდეც დავინყოთ დიალოგი, აზრთა განიარ-
ება, რომელიც „საჭიროა არა იმისათვის, რომ ვინმე გადავარ-
ნმუნოთ, არამედ იმისათვის, რომ ერთმანეთს გავუგოთ“ (84,
13). დიალოგი და ურთიერთგაგება გააჩენს ნდობას, ნდობას კი
აუცილებლად მოჰყვება შერიგება, რაც შემდგომი ურთიერთო-
ბის საფუძვლად იქცევა.



OTAR JANELIDZE

Two Discourses of Post Soviet Reality: Politicization of the Past and Instrumentalisation of History **Summary**

Penetration of politics in a historical narrative and actualization of historical thematic in political relations was not something strange in the past but its new large-scale stage was revealed during the crises of the Soviet regime, especially during post Soviet years.

After the collapse of the Soviet Empire there appeared an opportunity to rethink properly counterfeited past, but political elites of separate nations and ethnicities addressed social construction of history thus, historical narrative acquiring a shape of an ethno history. At the same time, textbooks of history of the post Soviet time maintained not one drawback from the Communist reality. These were: extreme ideologisation, attempts to appropriate the Past, disputes for territories and autochthonism on the given land, creation of national versions marked with hatred to the others etc.

First works about the history of Abkhazia and South Ossetia as separate entities were created in the 90s of the last century. In the both regions, demand for national history was determined by the politics. This conditioned the fact that political impact was strongly reflected in the books published on historical issues and what's more important the textbooks of history could not survive from this influence either.

In the work there are discussed three textbooks of history published in the post Soviet period in Abkhazia and South Ossetia: O. Bgazhba and S.Lakoba "History of Abkhazia, Sokhumi, 2006"; Edited by L. Chibirov "History of South Ossetians" published in Tskhinvali in 1990, and "History of Ossetia from Ancient Times to the End of the 19th century" by M. Bliiev and R. Bazarov, Vladikavkaz, 2000. Each of the books gives examples of instrumentalisation of history and its politicization.

1. Д.И.Фонвизин. Собрание сочинений в 2 томах. М.-Л. 1959.
2. <http://saltykov-schedrin.lit-info.ru/saltykov-schedrin/articles/saltykov-schedrin/kremucij-kord-kostomarova.htm>
3. პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თბ., 1989.
4. Е. Габович, История под знаком вопроса, М., 2005.
http://www.uhlib.ru/istorija/istorija_pod_znakom_voprosa/p6.php#metkadoc25
5. А. Балод, Восемь ножей в спину науке, которая называется „история” <http://www.netslova.ru/balod/8n.html>
6. <http://www.amsi.ge/istoria/ij/qei1/cx.html>
7. ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგნ. I, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.
8. მ. თორია, წარსულის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობის ჩამოყალიბებაში (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი), „ცივილიზაციური ძიებანი“, 4, თბ., 2006.
9. Svoevolin Alexander Ivanovich, Actualization of historical past in modern social and philosophical views and ideological practices. <http://www.teoria-practica.ru/-3-2011/filosofiya/svoevolin.pdf>
10. Ю. Афанасьев, Феномен советской историографии http://www.yuri-afanasiev.ru/afanasev/tom3/tom3_210.htm
11. М. Артемьев, Борьба со школой.
<http://www.forbes.ru/forbes/issue/2009-04/6944-borba-so-shkoloi>
12. K. Kakitashvili, Instrumentalization of History and History Teaching in Post-Soviet Georgia, ცივილიზაციური ძიებანი, №7, თბ., 2009,

13. Llobera J.R. The Role of Historical Memory in Catalan National Identity, in Social Anthropology. 1998. 6, 3.
14. ე. სმიტი, ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თბ., 2004.
15. С. Минасян, Как Армения относится к своему прошлому: история и политика
http://www.karabah88.ru/history/armenia_arcah_segodnia/02_kak_armeniia_otnositsia_k_svoemu_proshlomu_sergey_minasian.htm
1
16. А. Касьянов, „Национализация истории в Украине“ წიგნში - Национальные истории на постсоветском пространстве. Десять лет спустя, Сборник. М., 2009.
17. ო. ჯანელიძე, ისტორიის აქტუალიზაცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოსტსაბჭოთა პერიოდში, ჟურნალი „ანალები“, თბ., 2013, № 9.
18. ლ. ჯანიაშვილი, ეთნო-კულტურული პროცესები საქართველოში, წიგნში - ეთნოსები საქართველოში, თბ., 2008.
19. ს. კორნელი, ფრაგმენტები წიგნიდან „მცირე ერები და დიდი სახელმწიფოები. კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევა“, „ცივილიზაციური ძიებანი“, № 4, თბ., 2006.
20. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
21. რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ., 2003.
22. З. Анчабадзе, Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква „Геоργии Мерчуле - грузинский писатель X века“, Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д.И. Гулия. Т. XXVII. - Сухуми, 1956.
23. ა. სონღულაშვილი, აფსუა თუ აფხაზი? თბ., 2007.
24. Д. Гулия, История Абхазии, т. I, Тифлис, 1925.
25. К. Кудрявцев, Сборник материалов по истории Абхазии, Сухуми, 1922.

26. Д. Гулия, Собрание сочинений, том шестой. История Абхазию Этнография, Сухуми, 1986.
27. Г. Дзидзария, Очерки истории Абхазии. 1910—1921. Тб., 1963.
28. Ш. Инал-Ипа, Очерки по истории брака и семьи у абхазов. Сухуми, 1954.
29. Ш. Инал-Ипа, Абхазы. Историко-этнографические очерки. Сухуми, 1960.
30. И. Аджинджал, Жилища абхазов. Сухуми, 1957.
31. З. Анчабадзе, Из истории средневековой абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959.
32. З. Анчабадзе, История и культура древней абхазии М. 1964.
33. Ю. Гаглойти Аланы и вопросы этногенеза осетин. Тб., 1966.
34. Н.Цховребов, Очерк истории Юго-Осетинской организации Коммунистической партии Грузии, ч. 1, 1905-1921 гг., Сталинири, 1961.
35. История Осети в документах и материалах (с древнейших времён до конца XVIII в.). Составители Г.Д.Тогошвили и И.Н.Цховребов. Том 1. Цхинвали, 1962.
36. В. Шнирельман, „Патриотическое воспитание“: Этнические конфликты и школьные учебники
http://www.cisr.ru/files/publ/4_migr_racism_obrazovanie.pdf
37. ნ. კილურაძე, ნაციონალური ნარატივი და ინტერკულტურული ისტორია ახალ ქართულ სახელმძღვანელოებში, ჟურნ. „ისტორიკოსი“, 2011, 1.
38. მ. ცუცქერიძე, თანამედროვეობის ეთიკური პრობლემები, თბ., 2008.
39. პ. ბერკი, ისტორია და სოციალური თეორია, თბ., 2002.
40. А. Савельев, Политическая мифология, М. 2003
<http://www.savelev.ru/book/?ch=340>
41. Van Evera, S. Hypotheses on nationalism and war. International Security 18, #. 4 (Spring, 1994).



42. გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები = Вопросы грузино-абхазских взаимоотношений: (სტატიები, მიმართვები, ინტერვიუები) 2 წიგნად, წგნ. I, თბ., 2006.
43. О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии, Сухум, 2006.
44. ო. ჯანელიძე, წარსულს გვეცილებიან, გაზ. „24 საათი“, 2007 წ., 2 აპრილი.
45. ო. ჯანელიძე, ისტორიის აფხაზური ვერსია: ობიექტურობისა და სიმართლის დეფიციტი, წიგნში - აფხაზეთი. ისტორია და პოლიტიკა, თბ., 2008.
46. ზ. პაპასქირი, ცრუ ისტორია. რეცენზია ოლეგ ბლაჟბას და სტანისლავ ლაკობას „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოზე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009 წ., 24-29 აპრილი. სრული ვერსია იხ. <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia/>
47. З. Папаскири, Так не пишется история. Некоторые замечания по поводу т. н. „учебника“ Истории Абхазии“ О. Х. Бгажба и С. З. Лакоба, ჟურნ. „Кавказ и мир“, 2010, # 8.
48. გ. კიკნაძე, აფხაზეთის ისტორიის ავტორთა აბსურდები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009 წ., 10 მარტი.
49. Г. Турчанинов, Открытие и дешифровка древнейшей письменности Кавказа, М., 1999.
50. З. Папаскири. „Абхазское“ царство – грузинское государство. საისტორიო ძიებანი, VIII-IX, წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემა. თბ., 2006. ელექტრონული ვერსია იხ.: <http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006>
51. http://www.tbiliselebi.ge/?mas_id=14062&year=2012&rubr_id=1&jurn_id=13



52. ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
53. დ. ჩიტაია, აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში, თბ., 200წ.
54. <http://www.apsuara.ru/portal/book/export/html/197>
55. საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრთა სია <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/26157?mode=full>
56. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, თბ., 2007.
57. Т. Шамба и А. Непрошин Абхазия. Правовые основы государственности и суверенитета. Издание 2-е переработанное. М. 2004. <http://www.apsuara.ru/portal/book/export/html/197>
58. ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991.
59. История южных осетин, учебное пособие под редакцией проф. Л. Чибирова, Цхинвали, 1990. ლ. ჩიბიროვთან ერთად ავტორები არიან გ. თოგოშვილი, მ. ჯიოვევა და კ. ფუხაევა.
60. М. Блиев, Р. Бзаров, История Осетии с древнейших времен до конца XIX в. Владикавказ, 2000.
61. Р. Дзагоева, К изданию готовится новый учебник по истории Южной Осетии, Газ. „Республика“, 2012 г. 29 VIII. <http://respublikarso.org/books/177-k-izdaniyu-gotovitsya-novyy-uchebnik-po-istorii-yuzhnoy-osetii.html>
62. Ю. Гаглойты, Проблемы этнической истории южных осетин. Цхинвал, 1996.
63. რ. თოფჩიშვილი, სად მოხდა ალან-ოსთა ეთნოგენეზი: კავკასიასა თუ შუა აზიაში? ნიგნში -ზურაბ პაპასქირი - 60. უამთაალმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს, თბ., 2010-2013.



64. В. Дзидзоев, К. Дзугаев, Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений, Цхинвал, 2007.
65. М. Блиев, Южная Осетия в коллизиях российско-грузинских отношений, М., 2006.
66. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია. 1921-1923 წლები, თბ., 1999.
67. <http://www.Regnum.ru/news/732900>. Html
68. ო. ჯანელიძე, ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჟურნალი „ეთნოპოლიტიკა“, 2007, # 1. ელექტრონოვერსია: <http://iberiana.wordpress.com/samachablo/janelidze>; ასევე, Осетинский вопрос в Демократической Республике Грузии (1918-1921), წიგნში - Некоторые вопросы истории осетин шидა картლი, Тბ., 2010.
69. ო. ჯანელიძე, დროებითი ადმინისტრაციული ერთეული (ისტორია და თანამედროვეობა), კრებულში - ცხინვალის რეგიონი (2004-2007), სეპარატიზმისა და რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, თბ., 2008; ასევე, Как создавалась Юго-осетинская автономная область (новые архивные материалы), წიგნში _ Некоторые вопросы истории осетин шидა картლი, Тб., 2010.
70. სცსსა, ფ. 1833, ანან. 1, საქმ. # 181.
71. მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები, „ცივილიზაციური ძიებანი“, # 7, თბ., 2009,
72. ა. მენთეშაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წ.წ., კრებულში – ოსთა საკითხი, გორი, 1996.
73. Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, вып. II, Сталинир, 1935.
74. გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 13 ივნისი.

75. В. Шнирельман, Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М., 2003.
76. В. Шнирельман, Очарование седой древности: мифы о происхождении в современных школьных учебниках, Неприкосновенный запас, # 5 (37), 2004.
77. თ. ქარაია, ისტორიის გამოყენება სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში, თბ., 2009.
78. ლ. ახალაია, ბ. ხორავა, სამშობლოს სიყვარულში გაფრენილი 60 წელი, ნიგზში - ზურაბ პაპასქერი - 60. უამთააღმწერლობა ქემმარიტების მეტყველება არს, თბ., 2010-2013.
79. Т. Ачугба, О проблемах национального самосознания населения Юго-Восточная Абхазии (XIX-XX вв).
<http://www.abkhaziya.org/server-articles/article-87d3c166c7f9911853819db0af7bb420.html>
80. <http://www.nathan.fr/manuelfrancoallemand/>
81. <http://www.dw.de/polsko-niemiecki-podrecznik-do-historii-już-niedługo-w-szkołach-to-nie-jest-oczywistością/a-16445101>
82. <http://traubman.igc.org/textbook.htm>
83. Г. Бордюгов, Национальные истории тенденции последнего десятилетия **ნიგზში** - Национальные истории на постсоветском пространстве. Десять лет спустя, Сборник. М., 2009.

18

00/1714



საქართველოს
საპარაფრაზული
აგენტობა



www.mtsignbari.ge

დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #40

298.611



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆՈՒՆԱԳՐԱԴԱՐԱՆ